ტექნიკური დავალება

E60-E70 ჩქაროსნული ავტომაგისტრალის მიმდებარედ საავტომობილო გზის შემადგენელი ნაწილის - დასვენების და გაჩერების ადგილებისა და მათი ინფრასტრუქტურის კეთილმოწყობის სამუშაოების შესახებ

1. ზოგადი აღწერა

საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის (შემდგომში - „დეპარტამენტი“) დაკვეთით ეტაპობრივად სრულდება და საგზაო მოძრაობა იხსნება E-60 ავტომაგისტრალის სხვადასხვა მონაკვეთებზე, მათ შორის 2023 წელს გაიხსნა ხევი-უბისას (F2) და უბისა-შორაპანის (F3) მონაკვეთებზე, ჯამურად 27 კმ, გრიგოლეთი-ქობულეთის 6 კმ-იანი მონაკვეთი. 2024 წელს ეტაპობრივად დაგეგმილია სხვადასხვა მონაკვეთების დასრულება.

E-60 და E-70 ავტომაგისტრალების მიმდებარედ გათვალისწინებულია გასაჩერებელი/დასასვენებელი ადგილების მოწყობა, რაც მნიშვნელოვანია მგზავრთა გადაადგილებისათვის. ასევე მნიშვნელოვანია, გასაჩერებელი/დასასვენებელი ადგილები აღიჭურვოს სათანადო ინფრასტრუქტურით.

2. სამუშაოების შემადგენლობა

2.1 შესასრულებელი სამუშაოების ჩამონათვალი განსაზღვრულია სატენდერო დოკუმენტაციის დანართი N1-ში (პრეისკურანტი).

2.2 პრეტენდენტის მიერ წარმოდგენილი ერთეულის ფასები არ უნდა აღემატებოდეს დანართი N1-ში მითითებული შესაბამისი ერთეულის ზღვრული ფასების ოდენობას.

2.3 მიმწოდებელი ვალდებულია შემსყიდველის დავალების შემთხვევაში უზრუნველყოს ერთდროულად არანაკლებ 3 (სამი) ობიექტზე მუშაობა.

2.4 შემსყიდველი არ იღებს ვალდებულებას ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოების შესრულების ვადაში ხელშეკრულების ღირებულების სრულად დაკვეთის შესახებ;

2.5 ცალკეულ შემთხვევებში, მიმწოდებელს სამშენებლო ობიექტის კონკრეტული მისამართი ან/და პროექტი და მოცულობათა უწყისი გადაეცემა წერილობით;

2.6 მიმწოდებელი ვალდებულია წერილობით დავალების მიღებიდან (პროექტის და მოცულობათა უწყისის შემსყიდველის მიერ გადაუცემლობის შემთხვევაში) დავალებაში მითითებულ ვადაში წარმოადგინოს და შეათანხმოს შემსყიდველთან შესასრულებელი პროექტი და მოცულობათა უწყისი.

2.7 შემსყიდველი უფლებამოსილია მიწოდებული პროექტი და მოცულობათა უწყისი შეითანხმოს ან მოსთხოვოს მიმწოდებელს სსიპ - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს (შემდგომში - „ექსპერტიზის ეროვნული ბიურო“) ან სხვა აკრედიტებული ორგანიზაციის დასკვნა პროექტის კონსტრუქციული

ნაწილის მდგრადობაზე. საექსპერტო მომსახურების ანაზღაურებას უზრუნველყოფს მიმწოდებელი, რომელიც ცალკე არ ანაზღაურდება.

2.8 შემსყიდველი ვალდებულია აცნობოს მიმწოდებელს პროექტში ან/და მოცულობათა უწყისში რაიმე წუნის (ხარვეზის) აღმოჩენის შესახებ, ხოლო მიმწოდებელი ვალდებულია შენიშვნების გაცნობიდან არაუგვიანეს 3 (სამი) სამუშაო დღის ვადაში საკუთარი ხარჯებით აღმოფხვრას აღმოჩენილი წუნი.

2.9 მიმწოდებელს სამშენებლო ობიექტის კონკრეტული მისამართი, არსებობის შემთხვევაში პროექტი, მოცულობათა უწყისი და სამუშაოებისთვის განსაზღვრული დაწყების და დამთავრების ვადები გადაეცემა წერილობითი დავალებით;

2.10 მიმწოდებელი ვალდებულია სამუშაოების დაიწყოს წერილობითი დავალების მიღებიდან არაუგვიანეს 5 (ხუთი) კალენდარული დღის ვადაში.

2. სამუშაოების ვადა

სამუშაოების მიწოდების ვადა: ეტაპობრივად, წერილობითი დავალების შესაბამისად, ხელშეკრულების გაფორმებიდან 24 კალენდარული თვე.

3. სამუშაოთა წარმოება

შესრულებული სამუშაოთა მაღალი ხარისხის უზრუნველსაყოფად მოქმედი სამშენებლო ნორმების შესაბამისად, მიმწოდებელი ვალდებულია, მასალების გამოცდისათვის საჭირო სპეციალიზირებულ აკრედიტირებულ ლაბორატორიაში ჩაატაროს გამოსაყენებელი მასალის და შესრულებული სამუშაოების ხარისხის ყველა საკონტროლო ლაბორატორიული გამოცდა და შემოწმება მათი გამოყენების ვარგისიანობაზე.
აღნიშნულიდან გამომდინარე, სამუშაოების შესრულების პროცესში, მიმწოდებელი ვალდებულია საზედამხედველო ორგანიზაციას წარუდგინოს გამოყენებული მასალების შესაბამისობის და ხარისხის სერთიფიკატები და ბეტონის და ასფალტობეტონის ნარევების რეცეპტები.
მიმწოდებლის მასალებს და კონსტრუქციებს უნდა ჰქონდეს პასპორტი ან სერთიფიკატი. მათი ხარისხი უნდა შეესაბამებოდეს საქართველოში მოქმედ სტანდარტებსა და სამშენებლო ნორმებს.

4. სამუშაოთა მიღება-ჩაბარების წესი4.1 სამუშაოების მიღება-ჩაბარების წესი განისაზღვრება ამ პუნქტით, ხელშეკრულების პირობებით.
4.2 ადგილზე შემოწმებული მოცულობების ჩამონათვალის საფუძველზე საზედამხედველო ორგანიზაცია და მიმწოდებელი დაადგენენ საჭირო ხარისხით შესრულებულ სამუშაოთა მოცულობას, რომელიც უნდა იქნას შეტანილი საანგარიშო პერიოდის შესრულებული სამუშაოთა მოცულობების მიღების აქტებში.
4.3 დასრულებული სამუშაოების მიღება ხორციელდება ხელშეკრულებისა და ამ ტექნიკური დავალების შესაბამისად.
4.4 საზედამხედველო ორგანიზაცია ყოველი შესრულებული სამუშაოების მიღებისას ვალდებულია იხელმძღვანელოს საპროექტო-საახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციით და

შესრულებული სამუშაოების მოცულობებით და არ მიიღოს წუნდებული და შესაბამისი ლაბორატორიული დასკვნების არმქონე სამუშაოები.
4.5 მიმწოდებელი აბარებს სამუშაოებს საზედამხედველო ორგანიზაციას, რომელიც თავის მხრივ მას წარუდგენს საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტს. სამუშაოების მიღება-ჩაბარება მოხდება, შემდეგი დოკუმენტების წარდგენის შემდეგ: მიღება–ჩაბარების აქტის (ფაქტიურად შესრულებული სამუშაოების მოცულობების მიღების აქტი) და დამატებითი ღირებულების გადასახადის ანგარიშ–ფაქტურის გაფორმების შემდეგ.
4.6 შესრულებული სამუშაოების შემოწმება განხორციელდება სამუშაოების შესრულების ადგილზე, ხოლო საჭიროების შემთხვევაში მასალების გამოცდა მოხდება ამ მასალების გამოცდისათვის საჭირო აკრედიტირებულ ლაბორატორიებში.

5. სამუშაოების საბოლოო მიღება-ჩაბარება

შემსყიდველის დავალების შესაბამისად, შესაბამის ობიექტზე სამუშაოების სრულად დასრულების შემდეგ, სამუშაოების საბოლოო მიღება-ჩაბარება მოხდება, თუ მიმწოდებელი წარმოადგენს სსიპ „ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს“ ან შესაბამის სფეროში სხვა აკრედიტებული პირის მიერ გაცემულ დასკვნას, რომლითაც დასტურდება, რომ პროექტი შესრულებულია საპროექტო დოკუმენტაციის შესაბამისად და ვარგისია ექსპლუატაციისათვის.

6. სამუშაოთა წარმოების ნორმატიული დოკუმენტები

მუშაობის პროცესში შემსრულებული ვალდებულია სამუშაოები შეასრულოს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შესაბამისი სამშენებლო და გარემოსდაცვითი ნორმებისა და წესების შესაბამისად. სახელშეკრულებო ობიექტზე შემსრულებელმა უნდა აწარმოოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შესაბამისი დოკუმენტები.